სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აღმასრულებელი საბჭოს

სხდომის ოქმი

თარიღი: 25 იანვარი, 2024
სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
მისამართი: თბილისი, თინათინ ვირსალაძის I ჩიხი, N1.
სხდომის დაწყების დრო: 18:00

სხდომაში მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), თორნიკე ბაქრაძე, ციცინო ცხვედიანი, ია გაბედავა, დიანა გვიშიანი, ნათია კორკოტაძე, ინგა სეხნიაშვილი.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

ანასტასია გეგეჭკორის, თინათინ გოგრიჭიანის, გიორგი კვარაცხელიას, გურამ მაღულარიას, გიორგი ლილუაშვილის, დავით ახალბედაშვილის, მონიკა ქირიას, ნიკო დათეშიძის, ქეთევან სახვაძის, ეთერ რეხვიაშვილის და სოფიკო მღვდლიაშვილის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ სრულად აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს. **აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ანასტასია გეგეჭკორის, თინათინ გოგრიჭიანის, გიორგი კვარაცხელიას, გურამ მაღულარიას, გიორგი ლილუაშვილის, დავით ახალბედაშვილის, მონიკა ქირიას, ნიკო დათეშიძის, ქეთევან სახვაძის, ეთერ რეხვიაშვილის და სოფიკო მღვდლიაშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.**

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

აკაკი გეწაძის, კობა კვარაცხელიას, ლევან მელქაძის, კოტე სხულუხიას, თამილა გელაშვილის, მარიამ ჭარბაძის და ნატაშა გრიგალაშვილის განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს აკაკი გეწაძის, კობა კვარაცხელიას, ლევან მელქაძის, კოტე სხულუხიას, თამილა გელაშვილის, მარიამ ჭარბაძის და ნატაშა გრიგალაშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ ნუცა მჟავანაძის, ეკატერინე მუზაშვილის, პაატა სიამაშვილის, შორენა ადონიას, გაგა კენჭოშვილის, მარიამ ფარცვანიას, ლია აბლოთიას, ემზარ ბუაძის, ლაშა ჯანგირაშვილის, ერეკლე ჭულუხაძის, ანა გეგეშიძის, დავით სიმონიას, ანნა სიმონიშვილის, ილია გუმაშვილის, გიორგი ჯანიაშვილის, მართა ამირანაშვილის, თამარ ბიწაძის, გიორგი კვარაცხელიას, თამარ სიორდიას, მირანდა კაკუშაძის და **2024 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრების** - თეა ბუაძის, შალვა მანაგაძის, გვანცა ჩალაძის, თორნიკე ნემსწვერიძის, ნათია გუჯაბიძის, შორენა ბოჭორიშვილის, მედეა ფირცხალიას, სალომე წიკლაურის და ზურაბ ზურაბაშვილის განცხადებებს “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21^2 მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ ჩამოთვლილ პირთაგან, რომელთაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2024 წლის საწევრო აქვთ გადასახდელი, ეცნობოთ, რომ "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 21^2 მუხლის, პირველი პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავე კანონის 21^3 მუხლის პირველი პუნქტის, "ზ" ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: "საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით, წევრობის შეჩერების შესახებ, „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის, 21^2 მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21^3 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა" ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოველწლიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის, 21^3 მუხლის, პირველი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ" ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა".

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის, 21^2 მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ნუცა მჟავანაძის, ეკატერინე მუზაშვილის, პაატა სიამაშვილის, შორენა ადონიას, გაგა კენჭოშვილის, მარიამ ფარცვანიას, ლია აბლოთიას, ემზარ ბუაძის, ლაშა ჯანგირაშვილის, ერეკლე ჭულუხაძის, ანა გეგეშიძის, დავით სიმონიას, ანნა სიმონიშვილის, ილია გუმაშვილის, გიორგი ჯანიაშვილის, მართა ამირანაშვილის, თამარ ბიწაძის, გიორგი კვარაცხელიას, თამარ სიორდიას, მირანდა კაკუშაძის და 2024 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრების - თეა ბუაძის, შალვა მანაგაძის, გვანცა ჩალაძის, თორნიკე ნემსწვერიძის, ნათია გუჯაბიძის, შორენა ბოჭორიშვილის, მედეა ფირცხალიას, სალომე წიკლაურის და ზურაბ ზურაბაშვილის განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ. ამასთან, 2024 წლის საწევრო დავალიანების მქონე პირებს ეცნობოთ ინფორმაცია მათ მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ,

აგრეთვე ეცნობოთ იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მათ შეუწყდებათ ასოციაციის წევრობა.

საკითხი 4. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის საბჭოს შემადგენლობაში ადვოკატთა ასოციაციის კანდიდატურის წარდგინების საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ სსიპ „იურიდიული დახმარების“ საბჭოს შემადგენლობაში ადვოკატთა ასოციაციის კვოტით წარდგენილია 3 წევრი, რომელთაგან ერთ-ერთ წევრს - რამაზ ჩინჩალაძეს უფლებამოსილების ვადა ამოეწურა. შესაბამისად, მიზანშეწონილია გამოცხადდეს ღია კონკურსი, იურიდიული დახმარების საბჭოს წევრობის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: (ა) „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 26[1] მუხლისა და „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 და 23[2] მუხლების შესაბამისად, გამოცხადდეს ღია კონკურსი, იურიდიული დახმარების საბჭოს შემადგენლობაში ადვოკატთა ასოციაციიდან წარსადგენი 1 წევრის შესარჩევად

(ბ) იურიდიული დახმარების საბჭოს შემადგენლობაში ადვოკატთა ასოციაციიდან წარსადგენი 1 წევრის შესარჩევი კონკურსის შესახებ ინფორმაცია განთავსდეს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.gba.ge

(გ) ღია კონკურსში განაცხადების მიღება გაგრძელდეს 2024 წლის 2 თებერვლის, 17:00 საათამდე.

საკითხი 5. 2024 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ასოციაციის შემოსავლების ძირითად წყაროს საწევრო შენატანები წარმოადგენს, რაც მნიშვნელოვანია ორგანიზაციის ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებისა და ასოციაციის ყველა მიმართულების შეუფერხებელი საქმიანობისთვის. ამდენად, მიზანშეწონილია 2024 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საკითხზე მსჯელობა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: (ა) აღმასრულებელი საბჭოს შემდგომ სხდომაზე, 2024 წლის 06 თებერვალს დაიწყება ადმინისტრაციული წარმოება.

(ბ) 2024 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრებს გაეგზავნოთ მოკლე ტექსტური შეტყობინება, მათ მიმართ არსებული დავალიანების შესახებ, ასოციაციის ბაზაში დაცულ მობილურის ნომრებზე.

საკითხი 6. 2024 წლის საწევრო დავალიანების გადავადების შესახებ განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ საწევრო დავალიანების გადავადების შესახებ განცხადებებს. თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა, რომ წარმოდგენილი განცხადებების განხილვა გადაიდოს და განხილულ იქნეს ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობისას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: საწევრო დავალიანების გადავადების შესახებ განცხადებების განხილვა გადაიდოს იმ სხდომაზე, სადაც განხილულ იქნება ადმინისტრაციული წარმოება და განისაზღვრება შესაბამისი გადახდის ვადები.

საკითხი 7. თამთა იოსავას, სალომე სულაქველიძის და ლიანა ბერიანიძის კომიტეტში გაწევრიანების შესახებ განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ:

(ა) თამთა იოსავას განცხადებას ახალგაზრდა ადვოკატთა კომიტეტში გაწევრიანების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

(1) დაკმაყოფილდეს თამთა იოსავას განცხადება ადვოკატთა ასოციაციის ახალგაზრდა ადვოკატთა კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე და კომიტეტის დებულების მე-4 მუხლის, 4.4 პუნქტის თანახმად, დამტკიცებულ იქნეს თამთა იოსავას კანდიდატურა ადვოკატთა ასოციაციის ახალგაზრდა ადვოკატთა კომიტეტის წევრად.

(2) გადაწყვეტილების აღსრულება დაევალოს ანალიტიკური და საკომიტეტო საქმიანობის დეპარტამენტის უფროსს.

(ბ) სალომე სულაქველიძის განცხადებას ადვოკატის პროფესიული უფლებების იმერეთის რეგიონულ კომიტეტში გაწევრიანების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

(1) დაკმაყოფილდეს სალომე სულაქველიძის განცხადება ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატის პროფესიული უფლებების იმერეთის რეგიონულ კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე და კომიტეტის დებულების მე-4 მუხლის, 4.5 პუნქტის თანახმად, დამტკიცებულ იქნეს სალომე სულაქველიძის კანდიდატურა ადვოკატის პროფესიული უფლებების იმერეთის რეგიონული კომიტეტის წევრად.

(2) გადაწყვეტილების აღსრულება დაევალოს ანალიტიკური და საკომიტეტო საქმიანობის დეპარტამენტის უფროსს.

(გ) ლიანა ბერიანიძის განცხადებას სისხლის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

(1) დაკმაყოფილდეს ლიანა ბერიანიძის განცხადება ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე და კომიტეტის დებულების მე-4 მუხლის, 4.5 პუნქტის თანახმად, დამტკიცებულ იქნეს ლიანა ბერიანიძის კანდიდატურა სისხლის სამართლის კომიტეტის წევრად.

(2) გადაწყვეტილების აღსრულება დაევალოს ანალიტიკური და საკომიტეტო საქმიანობის დეპარტამენტის უფროსს.

საკითხი 8. სხვადასხვა.

წევრები გაეცნენ:

(ა) ლევან ჭიღლაძის განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ ლევან ჭიღლაძის განცხადებას. თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა, რომ განმცხადებელი მოწვეულ იქნას აღმასრულებელი საბჭოს შემდგომ სხდომაზე, სადაც განხილულ იქნება განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი განცხადება.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ლევან ჭიღლაძე მოწვეულ იქნას აღმასრულებელი საბჭოს შემდგომ სხდომაზე.

(ბ) დავით ებრალიძის განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ დავით ებრალიძის განცხადებას. თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა, რომ განმცხადებელი მოწვეულ იქნას აღმასრულებელი საბჭოს შემდგომ სხდომაზე, სადაც მისი მონაწილეობით განხილულ იქნება განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი განცხადება.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დავით ებრალიძე მოწვეულ იქნას აღმასრულებელი საბჭოს შემდგომ სხდომაზე.

(გ) დიმიტრი ჩხიტუნიძის, საწევრო გადასახადის გადახდილად ჩათვლის შესახებ, განცხადების განხილვა.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ დიმიტრი ჩხიტუნიძეს გადახდილი ჰქონდა საწევრო (200 ლარი) 2023 წლის 18 იანვარს, მაგრამ არ ჰქონდა წარმოდგენილი რეგიონში საქმიანობის განხორციელების შესახებ დამადასტურებელი დოკუმენტი. განმცხადებელმა წარმოადგინა ცნობა სამსახურიდან, რომლითაც დგინდება, რომ იგი 2023 წლიდან საქმიანობას ახორციელებს რეგიონში და მომართავს საბჭოს 2023 წლის 18 იანვარს გადახდილი საწევროს ჩათვლას 2023 და 2024 წლის საწევროდ.

წევრებმა განაცხადეს, რომ აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით ცვლილება შევიდა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2006 წლის 1-ლი თებერვლის, 2007 წლის 31 მაისის, 2010 წლის 19 მაისის, 2010 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებებში და განისაზღვრა ასოციაციის იმ წევრების შერჩევის ერთიანი კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც ადვოკატები ისარგებლებენ საწევრო შეღავათებით, შესაბამისად დიმიტრი ჩხიტუნიძის განცხადება ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

1. დაკმაყოფილდეს დიმიტრი ჩხიტუნიძის განცხადება და განმცხადებელს 2024 წლის საწევრო შენატანი ჩაეთვალოს გადახდილად.

2. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე.

3. მიღებული გადაწყვეტილების ასახვა დაევალოს ფინანსურ მენეჯერს.

(დ) ამბროსი დალაქიშვილის საწევრო გადასახადის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ განცხადების განხილვა.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელი, როგორც პენსიონერი და ვეტერანი მოქმედი ადვოკატი, სარგებლობს აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2019 წლის 31 იანვარს მიღებული გადაწყვეტილებით დადგენილი 50%-იანი საშეღავათო საწევროთი. შესაბამისად, მის მიერ გადასახდელი 2024 წლის საწევროს რაოდენობა შეადგენს 100 (ასი) ლარს. განმცხადებელს ასევე, წარმოდგენილი ჰქონდა ჯანმრთელობის შესახებ ცნობა (ფორმა 100) და მომართავდა საბჭოს თხოვნით საპატიოდ ჩათვლოდა 2024 წლის საწევრო გადასახადი.

წევრებმა განაცხადეს, რომ სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის გამო, აღმასრულებელი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს ამბროსი დალაქიშვილის განცხადებაში მითითებული მოთხოვნის - საწევროს გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის გამო, არ დაკმაყოფილდეს ამბროსი დალაქიშვილის განცხადება 2024 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

(ე) ვახტანგ ნოღაიდელის და დავით ბულიას განცხადებების განხილვა, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის საფასურის გადავადების შესახებ.

განმცხადებლები აღნიშნავდნენ, რომ ამ ეტაპზე ვერ ახერხებდნენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დარჩენილი საფასურის გადახდას და მომართავდნენ საბჭოს თხოვნით საფასურის გადახდის შესაძლებლობა მისცემოდათ 2024 წლის 31 იანვრამდე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ვახტანგ ნოღაიდელის და დავით ბულიას განცხადებები და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დარჩენილი საფასურის გადახდა გადაუვადდეთ 2024 წლის 31 იანვრამდე.

(ვ) თამთა ჟღენტის განცხადების განხილვა, ადაპტაციის პროგრამის თეორიულ კურსზე გაცდენილი საათების შემდეგ ნაკადზე აღდგენის შესახებ.

წევრები გაეცნენ თამთა ჟღენტის განცხადებას, რომლითაც იგი მომართავდა საბჭოს და ითხოვდა პროფესიული ადაპტაციის პროგრამაზე გაცდენილი საათების, ადაპტაციის პროგრამის შემდეგ ნაკადზე აღდგენის მიცემის შესაძლებლობას. განმცხადებელი უთითებდა, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის პარალელურად, იგი სწავლობს სამაგისტრო საფეხურზე, რაც ართულებდა მის მონაწილეობას ადაპტაციის პროგრამის თეორიულ კურსზე. შესაბამისად, განმცხადებელი მომართავდა საბჭოს, მისცემოდა შესაძლებლობა პროფესიული ადაპტაციის პროგრამის შემდეგ ნაკადზე აღედგინა გაცდენილი საათები და დროებით, პირადი განცხადების საფუძველზე, შეჩერებოდა მსმენელის სტატუსი.

წევრებმა განაცხადეს, რომ როგორც პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ზედამხედველობაზე უფლებამოსილი ორგანო, აღმასრულებელი საბჭო უფლებამოსილია ინდივიდუალურად განიხილოს პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მსმენელთა განცხადებები და მითითებული გარემოებების შეფასების საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება გაცდენილი საათების საპატიოდ ჩათვლის თუ გაცდენილი საათების აღდგენის შესაძლებლობის მიცემის თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს თამთა ჟღენტის განცხადება. პირადი განცხადების საფუძველზე მას შეუჩერდეს პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მსმენელის სტატუსი და განმცხადებელს მიეცეს შესაძლებლობა მის მიერ გაცდენილი თეორიული კურსის საათები აღადგინოს პროფესიული ადაპტაციის პროგრამის შემდეგ ნაკადზე.

(ზ) თეონა შელიას ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების გავლილად ჩათვლის შესახებ განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ თეონა შელიას განცხადებას. განმცხადებლის განმარტებით იგი 2023 წლის 15 ოქტომბრიდან 2023 წლის 15 დეკემბრამდე გადიოდა სტაჟირებას მენტორ ადვოკატთა. წარმოდგენილია მენტორის მიერ გაცემული ცნობა და ანგარიში, რომლის თანახმადაც დასტურდება განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოება. თეონა შელია საბჭოს მომართავს თხოვნით, რომ პირადი განცხადების საფუძველზე მას გადაუვადდეს სტაჟირების გავლის ვალდებულება და უკვე გავლილი სტაჟირება მენტორ ადვოკატთა (2 თვე) ჩაეთვალოს ანგარიშში და სტაჟირების აღდგენის შემთხვევაში, მიეცეს შესაძლებლობა გაიაროს სტაჟირების დარჩენილი ნაწილი (7 თვე).

წევრებმა განაცხადეს, რომ როგორც პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ზედამხედველობაზე უფლებამოსილი ორგანო, აღმასრულებელი საბჭო უფლებამოსილია ინდივიდუალურად განიხილოს პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მსმენელთა განცხადებები და მითითებული გარემოებების შეფასების საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება. წარმოდგენილ შემთხვევაში, წარმოდგენილი ცნობით და ანგარიშით ნათლად დგინდება, რომ თეონა შელიამ გაიარა სტაჟირება მენტორ ადვოკატთა 2 თვის განმავლობაში და მისი განცხადება ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება:
1. დაკმაყოფილდეს თეონა შელიას განცხადება და გავლილად ჩაეთვალოს მენტორ ადვოკატთა გავლილი სტაჟირება (2 თვე).

2. თეონა შელიას, პირადი განცხადების საფუძველზე, გადაუვადდეს სტაჟირების გავლის ვალდებულება, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 11.5 მუხლის შესაბამისად.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთაასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე